ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 790 20-33-05

27 აგვისტო 2014 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №73

“ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ”

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[I] მუხლის თანახმად საკრებულო ადგენს:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ”-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ”-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დანართი თან ერთვის).

მუხლი 2.

ამ დადგენილებით განსაზღვრულით მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება სავალდებულოა გამგეობის საჯარო მოხელის შტატით გათვალისწინებული თანამდებობის დასაკავებლად.

მუხლი 3.

ატესტაციისას მოხელეთა და კონკურსის ჩატარებისას კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს ამ დადგენილებით განსაზღვრული მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: ბექა შენგელიამ

დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.გამგეობის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ყოველი დანიშვნითი თანამდებობისთვის დგება საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

2.საკვალიფიკაციო მოთხოვნით განისაზღვრება თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კვალიფიკაცია, სამუშაო სტაჟი, განათლება, ცოდნა და უნარ-ჩვევები.

3.საკვალიფიკაციო მოთხოვნა შედგება მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისაგან.

4.მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნა საერთოა გამგეობის ყოველი საშტატო თანამდებობისათვის და განსაზღვრავს გამგეობაში თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნა წესდება თითოეული საშტატო თანამდებობისათვის და განსაზღვრავს ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კვალიფიკაციას, სამუშაო სტაჟს, აგრეთვე დამატებით ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

მუხლი 2. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნა

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა შტატით გათვალისწინებულ ნებისმიერ თანამდებობაზე დანიშვნისას განისაზღვროს შემდეგი მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ქართულ ენაზე გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer–ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

გ.ა) საქართველოს კონსტიტუცია

გ.ბ) ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;

გ.გ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

გ.დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის“ შესახებ;

გ.ე) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი გამგეობის დებულება;

გ.ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულება;

მუხლი 3. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

1. გამგეობის საჯარო მოხელის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) პროფესიული ცოდნის მოთხოვნები;

ბ) ზოგადი უნარების მოთხოვნები;

გ) პროფესიული უნარების მოთხოვნები;

2. გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსის თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების მეორე მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, სავალდებულოა არანაკლებ საშუალო სპეციალური ან ტექნიკური განათლება ან ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, თანამდებობაზე (საჯარო ან კერძო სამსახურში) მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება, სამუშაოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები.

3. გამგებლის თანაშემწის თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების მეორე მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, სავალდებულოა არანაკლებ საშუალო სპეციალური ან ტექნიკური განათლება ან ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სამუშაოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები.

4. სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების მეორე მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, სავალდებულოა არანაკლებ საშუალო სპეციალური ან ტექნიკური განათლება ან ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სამუშაოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები.

5. ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების მეორე მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, სავალდებულოა საშუალო განათლება მაინც, სამუშაოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები.